ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N146

2015 წლის 12 ოქტომბერი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N201 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი დახმარების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N201 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი დახმარების პროგრამაში" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
პროგრამა

2015 წელი
ზომის ერთეული ლარი

1. **პროგრამის სახელწოდება:** 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2015 წ.
31 დეკემბერი 2015 წ.

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

45 000 (ორმოცდახუთიათასი) ლარი

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი ადგილობრივი ბიუჯეტი 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი

ბ) დამატებითი 0 ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

პროგრამის ძირითადი არსია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება, მათთვის მატერიალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა.

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას, 45 ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით, ასევე პროგრამაში გათვალისწინებულ იქნება ის ოჯახები, რომელთა შვილებსაც შეუსრულდება 2015 წელს 18 წელი. ანალოგიური პროგრამა მუშაობდა 2009-2012წლებში (წელიწადში ერთხელ 500 ლარის ოდენობით), 2009 წელს დაფინანსდა 48 მრავალშვილიანი ოჯახი, 2010 წელს 41 ოჯახი, 2011 წელს 40 ოჯახი, 2012 წელს 40 ოჯახი, 2013 წელს 41 ოჯახი, 2014 წელს 38 ოჯახი. პროგრამის მსვლელობის დროს მოსალოდნელია როგორც გამოკლება, ისევე მატება.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერად მატერიალური დახმარებას, 1000 ლარის ოდენობით, მათთვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერას.	პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარზე გაცემის მაჩვენებელი.
2	სტიმულის მიცემა	ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა და დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მოქალაქეების განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	მოქალაქეებზე დახმარების გაცემა								X	X	X	X	X

9. პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების განაწილება თვეების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	სულ ჯამი
პროგრამის ხარჯები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ერთჯერადი დახმარების გაცემა	0	0	0	0	0	0	0	45 000	0	0	0	0	45 000
სულ ხარჯები	0	0	0	0	0	0	0	45 000	0	0	0	0	45 000

10. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2015 წელი	2016 წელი	2017წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	45 000	0	0	45 000
	დამატებითი		0	0	0	0
	სულ		45 000	0	0	45 000

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ფასი
2015 წელი					
საქონელი და მომსახურება					
სულ საქონელი და მომსახურეობა					0
II	სოციალური უზრუნველყოფა				
	ხუთი და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახი (18 წლამდე ბავშვები).	ოჯახი	45	1000	45 000
სულ სოცილური უზრუნველყოფა					45 000
III	არაფინანსური აქტივები				
სულ ჯამი					45 000

11. **საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:**

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვებისათვის დაგეგმილი თანხა (ლარებში)	შენიშვნა
	ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახი (18 წლამდე ბავშვები).	წლის განმავლობაში	ფულადი დახმარება	45 000	ფულადი დახმარება

დამატებითი ინფორმაცია:

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ბენეფიციარი მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის ან/და გამგებლის მოადგილის რეზოლუციით შედის სათანადო სამსახურში, სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს გამგებელს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე დახმარებას.

იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტები წინა წლებში და აკმაყოფილებს მოთხოვნას, სათანადო სამსახური მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგებელს თხოვნით სიის წარმოდგენით მასზე ერთჯერადი დახმარების გამოყოფის თაობაზე. გამგებლის ბრძანება თანდართულ დოკუმენტაციებთან ერთად გადაიგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

დახმარების გაცემა გაუგრძელდეს ყველა იმ ოჯახს, რომლებიც ღებულობდნენ დახმარებას წინა წლებში და წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტები დააკმაყოფილებენ პროგრამაში წარმოდგენილ მოთხოვნას, ასევე დახმარება გიცემა ყველა ოჯახზე, რომელიც მიმდინარე წელს დადგება აღრიცხვაზე, განეკუთვნება პროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიას და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. ყველა ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი.